

შპს კანი
2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს კანის ფინანსური ანგარიშგება (ლარი) 2020 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	კომ.	31.12.20	31.12.19
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები		486,841.98	85,878.35
მოკლევადიანი მოთხოვნები	3	6,058.61	20,219.66
მარაგები		1,311,408.45	1,285,893.61
		1,804,309.04	1,391,991.62
გრძელვადიანი აქტივები			
წმინდა ძირითადი საშუალებები	4	673,105.95	706,151.45
გაცემული სესხები		57,500.00	-
		730,605.95	706,151.45
		2,534,914.99	2,098,143.07
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	5	1,418.10	23,257.10
გადასახადები		-	136.41
		1,418.10	23,393.51
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები		396,399.96	24,036.93
		396,399.96	24,036.93
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		105,545.14	926,000.00
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		2,031,551.79	1,124,712.63
		2,137,096.93	2,050,712.63
		2,534,914.99	2,098,143.07

დირექტორი

ი. კუტალია



საქმიანობის შედეგები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

	2020	2019
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	1,346,025.39	1,066,146.70
საერთო მოგება	1,346,025.39	1,066,146.70
სხვა შემოსავლები	45,000.00	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(191,013.18)	(188,409.93)
ცვეთა და ამორტიზაცია	(35,487.06)	(131,896.52)
იჯარის ხარჯი	(5,727.50)	(33,687.80)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(183,362.21)	(203,862.87)
საპროცენტო ხარჯები	(19,139.92)	(9,643.23)
საოპერაციო მოგება	956,295.52	498,646.35
წმინდა მოგება / (ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	(49,456.36)	(31,528.82)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	906,839.16	467,117.53
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)	906,839.16	467,117.53
საკუთრი კაპიტლი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	2,050,712.63	813,595.10
საწესდებო კაპიტალი	(820,454.86)	770,000.00
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2,137,096.93	2,050,712.63

დირექტორი

ი. კუტალია

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს კანი (შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია 2012 წლის 31 იანვარს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, გიორგი სააკაძის დაღმართი, N11.

კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები არიან:

- ირაკლი კუტალია - 100%.

კომპანიის მენეჯმენტი შედგება:

- დირექტორი - ირაკლი კუტალია.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კანის დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები	2020	2019
მოთხოვნები მომსახურებიდან	-	12,000.00
მოთხოვნები პერსონალისადმი	49.40	-
გადადებული ავანსები	5,302.21	8,219.66
წინასწარ გაწეული ხარჯები	707.00	-
	6,058.61	20,219.66

4. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	31.12.2019	წმინდა ცვლილება	31.12.2020
ისტორიული ღირებულება			
ოფისის აღჭურვილობა	951,133.16	2,441.56	953,574.72
სატრანსპორტო საშუალებები	54,625.45	-	54,625.45
საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	20,289.18	-	20,289.18
	1,026,047.79	2,441.56	1,028,489.35

აკუმულირებული ცვეთა

ოფისის აღჭურვილობა	(291,114.53)	(20,504.13)	(311,618.66)
სატრანსპორტო საშუალებები	(14,219.45)	(10,925.09)	(25,144.54)
საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	(14,562.36)	(4,057.84)	(18,620.20)
	(319,896.34)	(35,487.06)	(355,383.40)

საბალანსო ღირებულება

ოფისის აღჭურვილობა	660,018.63	(18,062.57)	641,956.06
სატრანსპორტო საშუალებები	40,406.00	(10,925.09)	29,480.91
საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	5,726.82	(4,057.84)	1,668.98
	706,151.45	(33,045.50)	673,105.95

5. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	2020	2019
მომწოდებლები	926.60	23,257.10
გადასახდელი პროცენტები	491.50	-
	1,418.10	23,257.10